





ଓରେଣ୍ଡାଟିଂ  
ET CETERA

ମାର୍କିଟିନ କମିସନ  
ଲାମିସ ମାର୍କିଟିଙ୍ଗେଲ୍ୟୋ

მარტინ ემისი  
ლამის მატარეპელი

Martin Amis  
NIGHT TRAIN

ინგლისურიდან თარგმნეს ზაზა ჭილაძემ და გია ჭუმბურიძემ

© Martin Amis, 1997  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2016  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-501-1

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ეძღვნება სოლს და კენისს



სარჩევი

პირველი ნაწილი. მაგარი მოულოდნელობა 9

მეორე ნაწილი. თვითმკვლელობა 77

მესამე ნაწილი. დანახული სურათი I47



პირველი ნაწილი

გაგარი მოულოდნელობა



მე პოლიცია ვარ. ახლა არ მითხრათ, ეგრე ვინ ამბობსო. ჩვენში მოსულა. არასოდეს არ ვიტყვით ხოლმე – პოლიციელი ვარ, ანდა პოლიციის ოფიცერიო. პოლიცია და მორჩა. სახელიც კი შესაფერისი მაქვს – დეტექტივი მაიკ ჰულიპანი. სქესი – მდედრობითი.

ახლა კი იმ ყველაზე სამძიმო საქმეზე მინდა მოგიყვეთ, რაც კი ოდესმე გამომიძიებია. ჩემთვის სამძიმოს ვგულისხმობ, თორემ როცა პოლიცია ხარ, ეგ, ცოტა არ იყოს, პირობითი ცნება ხდება. მე შენ გეტყვი და, უარესის უარესი დაგელევა. ბოლო-ბოლო, იქამდე მიდიხარ, აღარც არაფერი გიკვირს. თუმცა აი, ეს საქმე დეტექტივ მაიკ ჰულიპანისთვის მართლა უარესზე უარესი გამოდგა.

მთლად ქალაქის ცენტრში წამოჭიმული პოლიციის მთავარი სამმართველო სამი ათას მუდმივ თანამშრომელს ითვლის, რომლებიც იმ უამრავ განყოფილებასა თუ ქვეგანყოფილებაში, ქვეგანაყოფსა თუ რაზმში არიან გადანაწილებულნი, რატომლაც წამდაუწუმ რომ უცვლიან სახელს. მართლა რას აღარ ვებრძვით: სახელმწიფო დანაშაულს, ორგანიზებულ დანაშაულს, პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, მოძალადეებს, მანქანის ქურ-

დებს, ბინის ქურდებს, ყაჩალებს, გამომძალველებს, თაღლითებს, ნარკომოვაჭრეებს, ადამიანის გამტაცებლებს და, რა თქმა უნდა, მკვლელებს. ერთ-ერთ შუშის კარზე ასეთი წარწერაც კია: „ზნეობრივ გადაცდომათა განყოფილება“ როგორია? ოღონდ „ცოდვათა მხილების განყოფილებას“, სანთლითაც რომ ეძებო, ვერ იპოვი. ცოდვის ბუდე თავად ქალაქია, ჩვენ კი – მისგან დაცვა. მოკლედ, ასე და ამგვარად.

ახლა ცოტა რამ პირადი საქმიდან: თვრამეტი წლისამ სისხლის სამართლის შესწავლა გადავწყვიტე პიტ ბრაუნის კოლეჯში, თუმცა გული მაინც მუდამ ქუჩისკენ მიმინევდა და ერთი სული მქონდა, პოლიციაში მემსახურა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას გავიარე სამხედრო შემოწმება. შემეძლო სასაზღვრო დაცვაშიც მეცადა ბედი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთ ხანობას სასჯელალსრულების სისტემაზეც კი ვფიქრობდი – მით უფრო, რომ ყველა საჭირო გამოცდა იოლად ჩავაბარე. მაგრამ მერე კოლეჯზე საერთოდ ხელი ჩავიქწიო და პირდაპირ პოლიციის აკადემიაში ვდურთე თავი.

ჯერ იყო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილებას მიმამაგრეს: ქალაქის სამხრეთ ნაწილში გამამწესეს, ორმოცდამეოთხე ქვეგანყოფილებაში ჩავირიცხე და ქუჩებში მიწევდა მორიგეობა. მერე ხანდაზმულ მოქალაქეთა ძარცვის ქვეგანყოფილებაში გადამიყვანეს – იქ უკვე თვალთვალიც მიწევდა, ჩასაფრებაც და ზოგჯერ სატყუარადაც კი მიყენებდნენ. მოგვიანებით, როცა საკმარისად გამოვიჟეკე, სამოქალაქო ყაიდაზე ჩაცმული ვასრულებდი ფარულ დავალებებს. მერე კიდევ ერთი გამოცდა გავიარე და უკვე პოლიციის მთავარ სამმართველოში ამოვყავი თავი. ამჟამად უკანონოდ მითვისებული ქონების განყოფილებაში ვზივარ, თუმცა მანამდე რვა წელი მკვლელობების გამოძიებას, ასე ვთქვათ, „სისხლიან საქმეებს“ შევალიე.

გარეგნობას რაც შეეხება, აგებულებით დედას ვგავარ. მის დროს ასეთ ქალებს „ხმალამოლებულ ფემინისტებს“ ეძახდნენ. ისე,

შარაგზის ყაჩალის როლსაც მშვენივრად მოირგებდა რომელიმე ბახაბუხიან, ფუტურისტულ ფილმში. ხმაც იმასავით დაგუდული მაქვს, ოლონდ ეს იმიტომ, რომ სამი ათეული წელია, სიგარეტი არ გამიგდია ხელიდან. ფართო, ბრტყელი სახე კი მამის გამომყვა – უფრო სოფლელის, ვიდრე ქალაქელის. ქერად შეღებილი თმა... მოკლედ, დიდი ვერაფერი. ამავე ქალაქში დავიბადე და გაიზარდე, სადაც დღემდე ვცხოვრობ, მუნ-პარკის უბანში. ათი წლის ვიყავი, როცა ცხოვრება აგვერია და ჩემი აღზრდა-განათლების საქმე სახელმწიფომ ითავა. წარმოდგენა არა მაქვს, ახლა სად არიან ჩემი მშობლები. სიმაღლეში მეტრი და სამოცდათოთხმეტი ვარ და 70კგ-ზე ოდნავ მეტს ვიწონი.

ჩვენებს რომ ჰკითხო, ყველაზე სახიფათო საქმე ნარკომოვაჭრებთან ბრძოლაა, თუმცა ბინძური ფულიც კარგად გეკრობა ხელზე; ადამიანის გატაცება კი გამოსაძიებლად უიოლესი ამბავია (შტატებში მკვლელობები თუ ძირითადად ზანგებზე მოდის, გატაცებაში მუდამ ქუჩის ბანდების ხელი ურევია ხოლმე). ისე, ვიღაცას გაუპატიურების შემთხვევებზე აქვს ყნოსვა გამახვილებული, ვიღაცას – ზნეობრივ გადაცდომებზე; ისეთებიც არიან, მაგიდასთან ჯდომა და სიღრმისეული ანალიზი რომ უფრო ეხერხებათ (მაგალითად, სადმე გაყუჩებული ბორიტმოქმედის კვალის მისაგნებად), მაგრამ ყველა ერთხმად მაინც იმას გაიძახის, მკვლელობის გამოძიება – ესაა ჩვენი გარჯის თავი და თავი, ამით ვიკეთებთ სახელსო.

ამ ჩვენი ქალაქის თაობაზე რა გითხრათ – სიგრძე-სიგანით გამოირჩევაო, ვერ ვიტყვი, თუმცა იაპონელებმა აქაც მოასწრეს თავიანთი ბაბილონის გოდოლის წამოჭიმვა; ერთი უნივერსიტეტიც გვაქვს, პატარა ნავსადგურიც, სამომავლოდ გათვლილ დარგებში მომუშავე მნარმოებლებსაც უდევთ ბინა (კომპიუტერული პროგრამების შემუშავება, კოსმოსური კვლევები თუ ქიმიოფარმაციოლოგია). ამავე დროს უმუშევრობის დონეც არ იკლებს და გადასახადებისთვის თავის არიდებაც ჩვეულებრივ ამბად გვექცა; აი, მკვლელობები კი მართლა არ ხდება ხშირად – წელიწადში ათი-თორმეტი თუ მოგროვდება, მეტი არა. ზოგჯერ თავიდანვე შენ მიგყავს გა-

მოძიება, ზოგჯერ მოგვიანებით ერთვები. პირადად მე, საერთო ჯამში, ასამდე მკვლელობის გამოძიებაში მიმიღია მონაწილეობა და გახსნის მაჩვენებელიც საშუალოზე ოდნავ მაღალი დამიგროვდა. დანაშაულის ადგილის დათვალიერება მუდამ კარგად გამომდიოდა – ერთი წვრილმანი არ დამრჩებოდა ხოლმე შეუმჩნეველი და რამდენჯერმე დახასიათებაში ისიც ჩამინერეს, ეჭვმიტანილთა დაკითხვის განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევაო. ასევე, ბევრი ვერ შემედრებოდა ოქმის შედგენაში, თუმცა გარეუბნიდან მთავარ სამმართველოში რომ გადმომიყავანეს, ზოგს ეგონა, ეს ალბათ ორ სიტყვას ვერ გადააბამს ერთმანეთსო. მნარედ კი მოტყუვდნენ: წერა უკვე მაშინაც მეხერხებოდა, მერე და მერე ხომ მთლად გავინაფე ამათებურ ინილობინილოში. თან არც მიღწეულით არ ვკაყოფილდებოდი და ერთხელ თავადვე მოვიხიბლე, ისე ოსტატურად შევუპირისპირე ერთმანეთს მკვლელობის ორი ვერსია – აბურდული, ლამის ურთიერთგამომრიცხავი. მაშინ იყო სწორედ, უფროსმა სერუანტმა, ჰენრიკ ოვერმარსმა ხელქვეითებს რომ უსაყვედურა: „ბიჭებო, თქვენს აბდაუბდასთან შედარებით, ეს მართლა ოქროპირობის მწვერვალია – ასე ვთქვათ, ციცერონსა და რობესპიერს ორივეს სძინავთ, ჩემმა მზემ!“ მართლა თავდაუზოგად ვიხარჯებოდი ყოველთვის, ოღონდ ერთხელაც იყო და რაღაც ზღვარს მივადექი, იქ მოთავდა კიდეც ყველაფერი... ათობით საორქოფო შემთხვევას გადავყრილვარ, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდილა, რომ მიზეზი ან თვითმკვლელობა, ან უბედური შემთხვევა, ანდა, უბრალოდ, გამვლელთა გულგრილობა ყოფილა.

მოკლედ, ვინ და რა ალარ მინახავს: სახურავიდან გადმომხტარი თუ ნანგრევებში მოყოლილი, სისხლისაგან დაცლილი თუ ხელში ყუმბარააფეთქებული, ზღვიდან გამორიყული თუ ყულფში თავგაყოფილი, სანამლავისაგან გახევებული თუ ტყვიით ტვინგასხმული... აკუნული ჩვილიც მინახავს და ვიღაც ახვრების გაუპატიურებული და მერე დამხრჩვალი დედაბრებიც, მატლებშესული არაერთი გვამიც, მაგრამ არაფერს უმოქმედია ჩემზე ისე, როგორც ჯენიფერ როჟუელის უსულო სხეულს.

ამ ყველაფერს კი იმიტომ გეუბნებით, თავადვე რომ ვარ იმ ამბის მონაწილე, რაც ახლა უნდა მოყყვე. ამიტომაც მგონია, ცუდი არ იქნებოდა, აქედანვე მეთქვა, ვინა ვარ და რა გამომივლია.

დღეს ორი აპრილია და, ჩემი ჭკუით, საქმე შეიძლება გახსნილად ჩაითვალოს – მოთავებულად, დახურულად. ოლონდ უკვე ნაპოვნი პასუხები ახლა კიდევ უფრო მეტ კითხვას მიჩენს. აბურდულ გორგალს მივადექი და ძაფის ერთი ბოლო რომ მოვქაჩი, ჰაერში გამოკიდებული კიდევ რამდენიმე ცალი შემრჩა ხელში. ამ საღამოს კი პოლი ნოს ვხვდები. ორადორ შეკითხვას დავუსვამ: ისიც ორივე-ზე მიპასუხებს და ამით მოვრჩებით. არა, უარესი საქმე არასოდეს მქონია. თუ ვიგონებ რაღაცას? არა მგონია. არაფერს არ ვაჭარბებ. ასეა და რა ვქნა. აი, პოლი ნოს რაც შეეხება, ეგაა ჩვენი მთავარი ყასაბი. ასეც ვეძახით ხოლმე. გვამებს ჭრის და კერავს, სიკვდილის მიზეზის დასადგენად. პათოლოგოანატომია, მოკლედ.

ისე, რამე უნდანურობა თუ დამცდა, ან ზედმეტად უგულო გეჩვენეთ, მაინც ნუ დამძრახავთ – პოლიცია რასისტების ბუდე როა, არ იცოდით? რას ვიზამთ, სამსახური გვაქვს ასეთი. მაგალითად, ნიუ-იორკის პოლიცია პუერტო-რიკოელებს ვერ იტანს, მაიამის – კუბელებს, ჰიუსტონისა – მექსიკელებს, სან-დიეგოსი – ინდიელებს, პორტლენდის – ესკომოსებს, ჩვენები – საერთოდ სუკველას, ვისაც ირლანდიური სისხლი არ ურევია, ან პოლიციაში არ მსახურობს. აი, პოლიციაში სამუშაოდ კი ყველასთვის ღიაა კარი: გინდა ებრაელი იყავი, გინდა – ზანგი, გინდა – ჭუტათვალება აზიელი, გინდა – სულაც ქალი. მერე, როგორც კი ამ მარაქაში გაერევი, უხერხულიცაა, ყველა სხვა არ გძულდეს.

ამ ჩემს შენიშვნებსა თუ საუბრების სტენოგრაფიულ ჩანაწერებს მთელი ოთხი კვირა ვაგროვებდი და აქვე მინდა, ბოდიში მოგიხადოთ დაკითხვების ოქმებში ჩარჩენილი ბილწსიტყვაობისთვის, გრამატიკული დროების აღრევისთვის (ხშირად ხდება ხოლმე, როცა ახლად გარდაცვლილებზე გინევს წერა) და კიდევ, საერთო

შედეგისთვისაც უნდა მოგიბოდიშოთ ალბათ. მაპატიეთ, მართლა ვწუხვარ. რაცაა, ესაა.

პირადად ჩემთვის მთელი ამბავი ოთხ მარტს, ღამით დაიწყო და მეც იმ დროიდან წამოვუყვები, თანმიმდევრულად.

#### 4 მარტი

იმ საღამოს მარტო ვიყავი. ტოუბი (ეგ ჩემი მეგობარია, ერთად ვცხოვრობთ) სადაც ქალაქებარეთ დაპატიუეს ძმაკაცებმა. მარტო ვახშობა დამეზარა, დივანზე წამოვგორდი, საფერფლე გვერდით დავიგულე და იმ ბიოგრაფიის კითხვა დავაპირე, ძალიან რომ მიქეს ჩვენს სადისკუსიო კლუბში. ზუსტად ცხრის თხეთმეტი წუთი იყო. იმიტომ დამამახსოვრდა, გარეთ ღამის მატარებელმა ჩაიხრიგინა, ის კი კვირაობით სწორედ ამ დროს ჩაივლის ხოლმე ჩემს ფანჯრებთან. ერთიანად არყევს აქაურობას, თუმცა ბინის ქირასაც შესაბამისად მიიაფებს.

ამ დროს ტელეფონმაც დარეკა. ჯონი მაკი იყო, იგივე სერ-ჟანტი ჯონ მაკატიჩი. ერთად ვმუშაობდით მკვლელობების განცოფილებაში, ახლა კი სულაც დაეწინაურებინათ და ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელად დაენიშნათ. ოქრო ბიჭი იყო და მართლა მაგარი მაძებარი.

— მაკი ხარ? — მეკითხება. — ისეთი საქმეა... ხომ იცი, კვირა საღამოს ტყუილად არ შეგანუხებდი...

— მიდი, ამოღერლე, — ვეუბნები.

— ცუდი ამბავია, მაიკ. ფოსტალიონობა მოგიწევს.

ჩვენს ენაზე ეს იმას ნიშნავდა, ვიღაცის სიკვდილის ამბავი უნდა მიგეტანა — მავანისთვის უნდა გეცნობებინა, შენთვის ძვირფასი ადამიანი დაიღუპაო. ხმაზევე ეტყობოდა ყველაფერი: ვიღაც მომკვდარიყო და თან, ცხადია, ბუნებრივი სიკვდილით — არა. ჩავფიქრდი. შემეძლო თავი ამერიდებინა და მეტევა, ეგეთები თანამდებობრივად უკვე აღარ მეკუთვნის-მეთქი (აბა, სად — უკანონო ქონების ჩამორთმევა და სად — სისხლის სამართალი?), მაგრამ მა-

შინ უკვე იმ წილადობილას მოსმენაც მომიწევდა, ყველა სერიალში ჯერი-ჯერზე რომ მეორდება: მეტყოდა, მაიკ, ახლა უნდა მიშველო, შენს იქით გზა არა მაქვს... მე კი ვუპასუხებდი: არც იფიქრო, ძმაო, მაგ საქმეში ჩემი იმედი ნუ გაექნება... არადა, ერთი თუ შეტოპე, გალურჯებამდე შეიძლება ასე იდავო. მოკლედ, ხელი ჩავიქწიე და ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე. ასე ვიფიქრე - გაჯიუტებას რა აზრი აქვს, ადრე თუ გვიან ხომ მაინც დავთანხმდები-მეთქი. ეგრეა, ერთმანეთს გვერდში უნდა დავუდგეთ, სხვანაირად არ გამოდის. ისევ გავუმეორე, თქვი ბარემ, ნუ გამტანჯე-მეთქი.

- პოლკოვნიკ ტომის ქალიშვილმა თავი მოიკლა.
- ვინ, ჯენიფერმა? - და მერე უნებურად დავამატე: - მიდი რა, რას მელადავები!

- ნეტა ეგრე იყოს, მაიკ. გითხარი, ცუდი ამბავია-მეთქი.
- რანაირად...
- ლულა ჩაიდო პირში და... ოცდაორიანიდან იგლიჯა.
- ენა ჩამივარდა.
- მაიკ, უნდა მიხვიდე და პოლკოვნიკს გააგებინო. და მირიესაც. რაც შეიძლება სწრაფად.

კიდევ ერთ სიგარეტს მოვუკიდე. სმით აღარ ვსვამ, მაგრამ უაზროდ ბევრს კი ვეწევი.

- ჯენიფერი პირველად რომ ვნახე, რვა წლის ბავშვი იყო.
- ვიცი, მაიკ. მაგიტომაც გირეკავ. აბა, სხვას ვის ვთხოვო?
- კარგი. ოღონდ ჯერ შემთხვევის ადგილას მიმიყვან.

სააპაზანში გავედი და ცოტა მოვწესრიგდი. ძლიერ ვაიძულეთავი, თუნდაც თმა ჩამომევარცხნა ნაუცბათევად. კრიჭა შემეკრა. ადრე თავი რაღაც მეგონა, მაგრამ ეტყობა, მეც ერთ ჩვეულებრივ, ნლებმორულ ქერა დედაკაცად ვიქეცი.

დაუფიქრებლად, მხოლოდ ჩვევის კარნახით გავაყოლე ხელს უბის წიგნაკი, ფარანი, რეზინის ხელთათმანები და ჩემს 38-ყალიბიან „ბულდოგსაც“ ჩავუძახე ჩანთაში.

პოლიციაში თუ მსახურობ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, „ულაპარაკო“ თვითმკვლელობას ეგრევე იყნოსავ. ზღურბლს გადააბიჯებ, გვამს დახედავ, ოთახს მოათვალიერებ და ბეჭედსაც დაასვამ, ულაპარაკო თვითმკვლელობაა. ამ შემთხვევაში კი – მსგავსიც არაფერი. ჯენიფერ როკუელი ჩემ თვალნინ გაიზარდა, გამორჩეულად გულმისასვლელი გოგო იყო. მარტო ჩემთვის კი არა, ყველას-თვის. მაგრამ დროთა განმავლობაში, ეტყობა, თავადვე დათრგუნა საკუთარმა მომხიბვლელობამ: ლამაზიც იყო და ჭკვიანიც. ეგ კი არა, უჭკვიანესი და მართლა გამაოგნებლად ლამაზი. არადა, თავში არასოდეს ავარდნია ეს გამორჩეულობა. უკარებაც არ ეთქმოდა – უბრალოდ, ამგვარ სრულყოფილებას იოლად ვერ წაუთამამდებოდი. ბუნებამ იმთავითვე უხვად დააბერტყა კალთა და არც მერე დაუკლია თავისი წყალობა. ისე, მამამისი და ორივე უფროსი ძმაც პოლიციელები არიან. ძმები ჩიკაგოში მსახურობენ და უკვე ლეიტენანტობასაც გამოკრეს ხელი. ჯენიფერმა კი სხვა გზა აირჩია, ასტროფიზიკოსობა მოინდომა და სამუშაოდაც აქ დარჩა, მაუნთლიში. თაყვანისმცემლები არასოდეს მოკლებია, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან მოყოლებული, თუმცა გამორჩეული ყურადღებით არც არავინ გაუნებივრებია. ბოლო შეიდი თუ რვა წელი – ზუსტად ვერ გეტყვით – დიდად მეოცნებე და ღრმად მოაზროვნე პროფესორ ტრეიდერ ფოლკნერთან მეგობრობდა. ასე რომ, „ულაპარაკო თვითმკვლელობას“ ამ საქმეს ვერაფრით დაარქმევდი. პირიქით, სალაპარაკოც ბევრი ჩანდა და თავსატეხიც.

ჯერი მაქმა პოლიციის მანქანით გამომიარა და უიტმენ-ავენიუზე გავედით. განიერი, ერთიანად მწვანეში ჩაფლული ქუჩის ორივე მხარეს ჩვენივე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მომცრო სახლები ჩარიგებულიყო, ოცდამეშვიდე უბნის ზედ კიდეზე. მანქანიდან გადმოვედი და ვინრო შარვალში გამოკვართულმა, როგორც იქნა, მუხლიც ჩემს გემოზე გავშალე.

შემთხვევის ადგილას უკვე ხალხი ირეოდა. საპატრულო მანქანები, პოლიციელები, კრიმინალისტები, ექიმები... ტონი სილვერა და ოლტენ თ'ბოი უკვე შიგნით შესულიყვნენ. იქვე იდგნენ დაზაფ-

რული მეზობლებიც, ოღონდ იმათთვის ჯერ არავის ეცალა. ისე, ფორმიანები ბევრად ჭარბობდნენ სეირის მაყურებლებს – როგორც ჩანს, საერთო განგაში გამოეცხადებინათ. მსგავსი ადრეც ბევრჯერ მომხდარა ჩვენს სამხრეთ უბანში, როცა რაცით გვამცნობდნენ, პოლიციელი გაასაღესო; ხან დამნაშავის დევნა მთავრდებოდა დამნაშავისავე სასარგებლოდ, ხან კი რომელიმე ჩვენიანი უადგილო ადგილას შეყოფდა ცხვირს და მერე სამუდამოდ იქვე რჩებოდა, ანდა სულაც ვიღაც შეშლილ ნარკომანს გადააწყდებოდა ისე მოულოდნელად, იარაღის ამოღებასაც ვეღარ ასწრებდა... ოღონდ როცა ვინმე პოლიციასთან ბინძურ თამაშს ბედავს, ჩვენც წესების გარეშე ვიწყებთ თამაშს. რასიზმიც ესაა: ერთი ჩვენიანის გამეტებასაც კი უკვე ყველა ჩვენგანზე თავდასხმად აღვიქვამთ.

სამკერდე ნიშანი გამოვაჩინე და პოლიციელთა ჯგროში გზა გავიკვლიე. პირველ რიგში, სახლის მეთვალყურეს უნდა გამოველაპარაკო-მეთქი, ვფიქრობდი. იქნებ სწორედ მას ენახა ბოლოს ჯერაც ცოცხალი ჯენიფერი, ანდა სულაც მომხდარის თვითმხილველიც ყოფილიყო? პარმალისკენ გზას ბადრი მთვარის შუქი მინათებდა. ისე, სავსე მთვარე უკვე იტალიელ პოლიციელებსაც აღარ უჩიტეს გულს: ყველამ კარგად იცის, რომ ასეთ დროს დანაშაულის მაჩვენებელი 25-35%-მდე მატულობს. ხოლო თუ მთვარის ავსება პარასკევ ღამესაც დაემთხვა, საავადმყოფობი ხალხის მიღებას ვეღარ აუდიონ და ტრავმატოლოგიური განყოფილებაც საველე ლაზარეთს ემსგავსება.

ჯენიფერის ბინის კართან სილვერა მელოდა. სილვერა. ვინ იცის, ერთად ადრეც რამდენ საქმეზე გვიმუშავია, რამდენ ასეთ კართან ვმდგარვართ გვერდიგვერდ... ოღონდ ახლა ყველაფერი სხვანაირად იყო – ზღურბლზე გადაბიჯება ასე არასდროს გაგვჭირვებია.

- ძაან ცუდი ამბავია, მაიკ.
- გვამი სადაა?
- საძინებელში.
- შენ უკვე მოათავე? დაიცა, არაფერი მითხრა, თვითონ ვნახავ.

საძინებელი სასტუმრო ოთახს ემიჯნებოდა. იქაურობას კარგად ვიცნობდი – ბოლო ხუთ წელიწადში, სულ ცოტა, ოცჯერ მაინც მივსულვარ იქ. ხან პოლკოვნიკ ტომისთვის რაიმე გადამიცია, ხან გზად ჯენიფერი გამიყოლებია ჩიგბურთზე, საცურაოდ თუ სადმე, სტუმრად. მოკლედ, მართალია, თავიდან ამ ურთიერთობას ჩემი სამსახურებრივი მოვალეობები განაპირობებდა, მაგრამ მერე, მანქანაში, მაინც მუდამ გულითადი მეგობრებივით ვჟივჟივებდით. ბოლო დროს ზოგჯერ ტრეიდერიც აგვეტორლიალებოდა ხოლმე. სასტუმრო ოთახი გავიარე და საძინებლის კართან შევყოვნდი. ორი წლის წინანდელი წვეულება გამახსენდა ოვერმარსთან, როცა დაწინაურების აღსანიშნავად დაგვპატიუა ყველანი. იმ საღამოს უცებ შევნიშნე, როგორ მიღიმოდა შორიდან ჯენიფერი. ხელში თეთრი ლვინით სავსე ჭიქა ეჭირა, ნელ-ნელა წრუპავდა და ბოლომდე ვერა და ვერ დაცალა (დანარჩენები – რა თქმა უნდა, ჩემი გამოკლებით – ისე გამოტყვარნენ, ჭკუაზე აღარ იყო არც ერთი). ბედნიერებასაც ნიჭი უნდამეთქი, გავიფიქრე. ყველაფრისათვის ბედის მაღლიერი უნდა იყო. მე, პირადად, ვერც კი წარმომიდგენია, რამდენი უნდა დავლიო, რომ ასე სახეგაბრნყინებული დავიარებოდე, ის კი თითქოს სიხარულს ასხივებდა. არადა, ნახევარი ჭიქა ლვინოც კი არ ექნებოდა დალეული.

საძინებელში შევედი და კარი მოვიხურე.

ასეთ დროს შემდეგნაირად იქცევი: ჯერ აუჩქარებლად, კედელ-კედელ შემოივლი ითახს, მერე უკვე გვამს მიადგები. გუმანმა საწოლისკენ მიბიძგა, თუმცა ჯენიფერი თურმე სკამზე მჯდარა, კუთხეში, ჩემგან ხელმარჯვნივ. ფარდები ისე ჩამოეშვათ, მთვარის შუქს რომ ვერ შემოელნია. საწოლთან, მაგიდაზე, ყველაფერი თავის ადგილას ეწყო, თუმცა ლოგინი აშლილ-ანენილი დამხვდა და ჰაერშიც ვნების სუსტი სურნელი ტრიალებდა. ჯენიფერის ფეხებთან ძველი, შავად დალაქავებული ბალიშისპირი და თუნუქის გვერდშეჭყლეტილი ქილა ეგდო.

როგორც ვთქვი, არაერთი გვამი მინახავს, ოლონდ სკამზე მჯდომი, შიშველი ჯენიფერ როკუელის, მისი გაქვავებული სახის, ფართოდ დალებული პირისა და ჯერაც წყლიან თვალებში შერჩენი-